ხელშეკრულება № 13

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. სამტრედია 5. 03. 2020წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ნანული მანჯგალაძის სახით და მეორეს მხრივ,მეორეს მხრივ, ი/მ ჯანიკო ოგანესიანი, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯანიკო ოგანესიანის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სამეურნეო საქონლის (CPV:14800000, CPV:18100000, CPV:19200000, CPV:22800000, CPV:24900000, CPV:31500000, CPV:33700000, CPV:39200000, CPV:39800000 შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1.ხელშეკრულების საგნის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 765.20 ლარს (შვიდასსამოცდახუთი ლარი 20 თეთრი).

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2020 წლის 5 მაისის ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო
6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი
7.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2.თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3.მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი
9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება
10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება ფორმდება ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 5 მაისის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლა ს/კ 238762987 მის: ქ. სამტრედია, თელიას ქ.N2 ტელ: 577933802 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი “ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE60TB7606433020100001 დირექტორის მ/შ : ნანული მანჯგალაძე	ი/მ ჯანიკო ოგანესიანი ს/კ 37001002052 მის.: ქ. სამტრედია, ჭანტურიას ქ. N34 ტელ.: 571214783 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი:BAGE22 ა/ა GE29BG0000000608189900 დირექტორი ჯანიკო ოგანესიანი

N	დასახელება	CPVკოდი	განზომ.	რ-ბა	ერ-ის ფასი (ლარი)	ღირ-ბა (ლარი)
1	სახეხი სინა	14810000	ცალი	20	1.00	20.00
2	ხელთათმანები (რეზინის)	18141000	ცალი	30	1.80	54.00
3	ხელთათმანები (სამუშაო)	18141000	ცალი	10	0.90	9.00
4	იატაკის საწმენდი ქსოვილი	39224000	ცალი	10	5.00	50.00
6	ტუალეტის ქაღალდი	33741300	შეკვრა	2	12.00	24.00
5	თხევადი საპონი	33741300	ცალი	20	1.70	34.00
7	ტუალეტის ქაღალდი	33761000	ცალი	48	0.60	28.80
8	ცოცხი	39224100	ცალი	10	7.50	75.00
9	ნათურა	31519200	ცალი	30	0.60	18.00
10	ჯაგრისის მეტალის ჯოხი	39224300	ცალი	4	3.80	15.20
11	იატეკის საწმენდი ჯაგრისი	39224300	ცალი	4	3.80	15.20
12	სარეცხი ღრუბელი	39244320	შეკვრა	7	2.50	17.50
13	სარეცხი ფხვნილი	39891200	ცალი	10	2.00	20.00
14	მაგიდის საწმენდი ქსოვილი	19241000	ცალი	10	2.50	25.00
15	მინის საწმენდი ქსოვილი	19241000	ცალი	10	1.50	15.00
16	ქაღალდის ხელსახოცი	33764000	ცალი	5	1.80	9.00
17	ქაღალდის პირსახოცი	33763000	ცალი	5	2.50	12.50
18	სადეზინფექციო სარეცხი ხსნარი	39822000	ცალი	50	1.30	65.00
19	ჭურჭლის სარეცხი პასტა (ჟელე)	39832100	ცალი	10	2.50	25.00
20	სახეხი ფხვნილი ,,ბიოლაინი“	39831200	ცალი	10	2.00	20.00
21	აეროზოლი	24959100	ცალი	5	2.40	12.00
22	იატაკის სარეცხი სითხე	39831300	ცალი	3	15.00	45.00
23	აქანდაზი	39224350	ცალი	5	3.50	17.50
24	ტუალეტის საწმენდი ხსნარი (უეტისი)	39831600	ცალი	70	1.50	105.00
25	ჭურჭლის სარეცხი სითხე	39832000	ცალი	5	2.50	12.50
26	უნიტაზის ჯაგრისი	39224310	ცალი	2	2.00	4.00
27	უნიტაზის ჯაგრისი	39224310	ცალი	2	1.50	3.00
28	თვითწეპვადი ქაღალდი	22816300	ცალი	5	2.80	14.00
ჯამი						765.20